

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების

შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა შექმნას იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის პრევენციას. ამასთანავე, შექმნის სათანადო სამართლებრივ და სოციალურ გარანტიებს მოსამართლეთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების თვალსაზრისით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დღესდღეობით არსებობს რიგი ნორმები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს, რათა სასამართლო ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად ეფექტიანად შეძლოს მართლმსაჯულების განხორციელება.

ამავდროულად, აუცილებელია. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეძლოს შეუფერხებლად განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ამავე კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ერთი მხრივ, დაზღვეულ იქნება საფრთხე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელყოფის თვალსაზრისით. კერძოდ: მოსამართლეები უფრო მეტად იქნებიან დაცულები საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას შესაძლო ზეგავლენისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, გაძლიერდება მათი სოციალური დაცვის გარანტიები. ამასთანავე, დაიხვეწება საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებს სასამართლო ხელისუფლების (მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) ფუნქციონირებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ფართოვდება მოსამართლესთან უკანონო კომუნიკაციის სუბიექტთა წრე, კერძოდ: **კანონის 1¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** ყალიბდება იმგვარად, რომ სუბიექტად მიჩნეულ იქნეს არა მხოლოდ კონკრეტული, განსახილველი საქმის შედეგით დაინტერესებული პირი, არამედ - ნებისმიერი პირი, რომელიც მოსამართლის ან ზოგადად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით ცდილობს მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციას.

2. კანონის მე-8 მუხლი ყალიბდება იმგვარი რედაქციით, რომ ნებისმიერ სუბიექტს აეკრძალოს ნებისმიერი ფორმით სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა; ასევე, აიკრძალება მოსამართლეზე რაიმე სახით ზემოქმედება უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამო ან სამომავლოდ მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

3. კანონის მე-9 მუხლის ცვლილება ეხმიანება საქართველოს კანონმდებლობაში უახლოეს წარსულში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც დაწესდა პასუხისმგებლობა სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის მათი საქმიანობიდან (სტატუსიდან) გამომდინარე შეურაცხყოფის მიყენებისათვის. კერძოდ: კანონის მე-9 მუხლში შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, აიკრძალება ნებისმიერი პირის მიერ ნებისმიერი ფორმით (ვერბალურად, უხამსი ქმედებით და ა.შ.) და ნებისმიერ ვითარებაში (სასამართლო

სხდომაზე, საჯარო სივრცეში და ა.შ.) მოსამართლისადმი უპატივცემულობას გამოხატვა, რომელიც უკავშირდება მოსამართლის სტატუსს.

4. კანონის მე-13 მუხლის მე-3¹ პუნქტში შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, სასამართლო აქტები საჯარო ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

5. იმისათვის რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება და ხელი არ შეეშალოს სასამართლო სხდომების მიმდინარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს სხდომების ღიაობა, მიზანშეწონილია, **13¹ მუხლში** განხორციელდეს ცვლილება.

6. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ვიწრო სპეციალიზაციების დანერგვამ გააუმჯობესა მართლმსაჯულების ხარისხიც და ოპერატიულობაც პირველ და მე-2 ინსტანციის სასამართლოებში. ამიტომ, მე-15 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებით შესაძლებელი გახდება ვიწრო სპეციალიზაციის განხორციელება უზენაეს სასამართლოშიც.

7. შემოთავაზებული ცვლილებებით **იზრდება** რიგ პოზიციებზე განწესებულ (არჩეულ) მოსამართლეთა **უფლებამოსილების ვადები**, იმისათვის, რათა სასამართლოს/კოლეგიის/პალატის მენეჯმენტი უფრო ეფექტიანად განხორციელდეს, რადგან ცნობილია, რომ მენეჯერულ თანამდებობაზე განწესებული პირი დროთა განმავლობაში აგროვებს სათანადო გამოცდილებას, რომელსაც წარმატებით იყენებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კერძოდ:

ა) იზრდება უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა 2 წლიდან 3 წლამდე (**მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი**);

ბ) იზრდება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში არჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა 3 წლიდან 5 წლამდე (**მე-19 მუხლის პირველი პუნქტი**); ამასთანავე, მკაფიო შეუთავსებლობის გამო, ნორმას ემატება შემდეგი აკრძალვა: „სადისციპლინო პალატის წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს ის

მოსამართლე, რომელიც იმავდროულად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია.“;

გ) იზრდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში არჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა 3 წლიდან 5 წლამდე (მე-19¹ მუხლის მე-2 პუნქტი);

დ) იზრდება უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა უფლებამოსილების ვადები, კერძოდ: საკვალიფიკაციო და სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადები იზრდება 3 წლიდან 5 წლამდე, ხოლო დანარჩენი პალატების თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადები - 5 წლიდან 10 წლამდე (მე-20 მუხლის პირველი პუნქტი);

ე) იზრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, პალატების/კოლეგიის თავმჯდომარეთა უფლებამოსილების ვადები 5 წლიდან 10 წლამდე (23-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტები);

ვ) იზრდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს/კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადები 5 წლიდან 10 წლამდე (30-ე მუხლის მე-4 პუნქტი; 32-ე მუხლის პირველი პუნქტი);

ზ) იზრდება მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობის (თავმჯდომარის ჩათვლით) უფლებამოსილების ვადა 3 წლიდან 4 წლამდე (64-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

8. ზუსტდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფორმულირება (21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და სამივე ინსტანციის სასამართლოთა თავმჯდომარეების უფლებამოსილება სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ იქნება იდენტურად ფორმულირებული (იხილეთ შედარებისათვის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

9. საერთო სასამართლოებში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, შესაბამისი ელექტრონული პროგრამის ოპერირების საფუძველზე; აღნიშნული ელექტრონული პროგრამა სრული სიზუსტით უზრუნველყოფს სათანადო სტატისტიკური მონაცემების (მაგ: საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ მონაცემები და ა.შ.) დამუშავებას და განზოგადებას. ამიტომ, აზრს მოკლებულია ამ ფუნქციის კვლავ სასამართლოს თავმჯდომარისათვის დაკისრება, რის გამოც კანონის **25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** (სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის) და **32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** (რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარისათვის) ყალიბდება იმგვარად, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებს რჩებათ მხოლოდ სასამართლოს მუშაობის სათანადოდ ორგანიზების უფლებამოსილება.

10. **30-ე მუხლის მე-5 პუნქტის** შემოთავაზებული ცვლილებით კონკრეტდება და მკაფიოდ მიეთითება, რომ მოსამართლის შერჩევა უნდა მოხდეს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის შესაბამისად“.

11. მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა გათვალისწინებულია მხოლოდ უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებში. თუმცა, სასამართლო სისტემაში არსებობს და შეიძლება მომავალშიც იარსებოს ისეთმა დიდმა რაიონულმა (საქალაქო) სასამართლოებმა, სადაც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს არანაკლებ 30 მოსამართლე, მათი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის არსებული მრავალრიცხოვანი მოხელეებით (ე.წ. მწერალი თანაშემწეები, თანაშემწეები, სხდომის მდივნები, მანდატურები და ა.შ.); სასამართლოს სიდიდიდან გამომდინარე, დიდია მისი დატვირთვაც (საქმეთა სიმრავლის თვალსაზრისით) და, შესაბამისად, რთულდება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი მართვაც. ამიტომ, შემოთავაზებული ცვლილებით, დიდ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში გათვალისწინებულია სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც (იდენტურია სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის ამჟამად მიკუთვნებული ფუნქციებისა) გაწერილი იქნება კანონისათვის დამატებულ **32¹ მუხლში**.

12. მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასარჩევად უფრო შეღავათიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არის დაწესებული, ვიდრე - საერთო სასამართლოების ქვემდგომ ინსტანციებში მოსამართლედ დასანიშნად. კერძოდ: **34-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად**, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი თავისუფლდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან; რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატს მოეთხოვება მითითებული, საკმაოდ რთული გამოცდის ჩაბარებაც და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სრული სასწავლო კურსის (ხანგრძლივობა: 12-16 თვე) გავლაც (**34-ე მუხლის პირველი პუნქტი**); ხოლო სააკველიციო სასამართლოში დაწინაურებისათვის, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არანაკლებ 5-წლიანი მუშაობის გამოცდილება (41-ე მუხლი).

აღნიშნული გარემოებებით არის განპირობებული **34-ე მუხლში** შემოთავაზებული ცვლილება, რათა ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში განწესებისათვის კანდიდატს დაუწესდეს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნა: მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. შესაბამისად, **მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი** ამოღებულ უნდა იქნეს კანონიდან.

13. **34¹ მუხლის მე-11 პუნქტის პირველი წინადადების** ახალი რედაქციით, აუცილებელი აღარ იქნება უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შეფასება მათი საჯარო მოსმენის დასრულებიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **უახლოეს** სხდომამდე.

14. კანონის **37¹ მუხლის მე-2 და** იცვლება იმისათვის, რათა მოსამართლის მივლინების მექანიზმი უფრო მოქნილი იყოს და ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას მთელი საქართველოს მასშტაბით. ამასთანავე, მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების შესახებ გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის დასადასტურებლად, იზრდება დაწესებული კვორუმი და უმჯობესდება ამ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივრის განხილვის პროცედურაც, კერძოდ:

ა) იზრდება მივლინების ვადა 2 წლიდან 3 წლამდე; ამასთანავე, დაიშვება ამ ვადის გაგრძელებაც 2 წლით;

ბ) მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერით (დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.);

გ) მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, გასაჩივრება შეაჩერებს მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედებას, საკვალიფიკაციო პალატის მიერ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე; ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას ენიჭება უფლებამოსილება - საკუთარი გადაწყვეტილებით დაასრულოს მივლინებასთან დაკავშირებული პროცედურა, თუ მიიჩნევს, რომ მოსამართლის მივლინების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უკანონო (მოქმედი რედაქციით, საკვალიფიკაციო პალატას შეუძლია მხოლოდ საქმის ხელახლა განსახილველად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება, იხ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^ე მუხლის მე-20 პუნქტი).

15. მარტივდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დაწინაურების პროცედურა (მუხლი 41): მისი სააპელაციო სასამართლოში დასაწინაურებლად ამჟამად მოქმედი 5-წლიანი ვადა მცირდება 3 წლამდე, რადგან მოსამართლის განწესება საქართველოში საკმაოდ რთული პროცედურების შედეგად ხდება; და თუ ამგვარი რთული პროცედურების შედეგად შერჩეულმა, კეთილსინდისიერმა და კომპეტენტურმა მოსამართლემ, საქმეთა სიმრავლის და სტრესული გარემოების მიუხედავად, სათანადოდ გაართვა თავი 3 წლის მანძილზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შესრულებას, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა - საქმიანობა გააგრძელოს სააპელაციო სასამართლოში. დაწინაურებისათვის დამატებით რაიმე კრიტერიუმების დაწესება აუცილებელი არ არის, რადგან მოქმედი კანონმდებლობით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ისედაც ევალება - მისი გადაწყვეტილებები ყველა (მათ შორის - საკადრო) საკითხებზე იყოს დასაბუთებული.

16. შემოთავაზებული ცვლილებებით, უფრო დაცული ხდება მოსამართლე (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (48-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი) შრომისუუნარობის გამო თანამდებობიდან გათავისუფლების თვალსაზრისით, რადგან ამჟამად მოქმედი შრომისუუნარობის 4-თვიანი ვადა (რაც საკმარისია უფლებამოსილების შესაწყვეტად) იზრდება 6 თვემდე.

17. კანონის რიგ მუხლებში შემოთავაზებული ცვლილებებით (45-ე მუხლის პირველი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 75⁵ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, 75⁶-75⁷ მუხლების, 75⁹-75¹¹ მუხლების, 75¹³ მუხლის ახლებურად ჩამოყალიბება და 51¹ მუხლის ამოღება), 2025 წლის 1 სექტემბრიდან დაგეგმილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობისა და მისი სამსახურის გაუქმება. აღსანიშნავია, რომ მის ფუნქციებს შეასრულებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საბჭოში შექმნილი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით. როგორც წესი, მოხელის (სახელმწიფო მოსამსახურების) დისციპლინური დევნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს მისმა დამნიშნავმა ორგანომ; ამდენად, უფრო მართებულია, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (მოკვლევის დაწყება; მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა; ფორმალური საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტა და ა.შ.) მიიღოს არა მოსამართლეთა თანამდებობაზე დამნიშნავი კონსტიტუციური ორგანოსგან განყენებულად მყოფმა სუბიექტმა - დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, არამედ - მოსამართლეთა მიერ უშუალოდ არჩეულმა თანამდებობის პირმა, რომელიც საბჭოს ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირს და პროფესიონალ მოსამართლეს წარმოადგენს. რაც შეეხება მოქმედ დამოუკიდებელ ინსპექტორს, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს გარდამავალ დებულებებს (იხ: პროექტის მე-2 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტები). უშუალოდ მისი და მისი სამსახურის მოხელეების შრომითი უფლებების დასაცავად, რათა დაგეგმილი რეორგანიზაცია განხორციელდეს სამართლიანად. 2025 წლის 1 სექტემბრამდე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შექმნას შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ

შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას და აღსრულებას; ამ ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა შეთავაზებულ იქნება სწორედ მოქმედი დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის; ამავე სტრუქტურულ ერთეულში უნდა დასაქმდნენ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში მომუშავე საჯარო მოსამსახურეები, შესასრულებელი უფლებამოსილების გათვალისწინებით ამ სტრუქტურული ერთეულისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ადეკვატური სამტატო ნუსხის შესაბამისად.

18. ფუნდამენტურად იცვლება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი (47-ე მუხლი), კერძოდ:

ა) საბჭოს 15-წევრიან შემადგენლობაში იზრდება მოსამართლეთა რაოდენობა: ამჟამად არსებული მოდელის ნაცვლად (8 მოსამართლე წევრი, არჩეული მოსამართლეთა თვითმართველობის ორგანოს მიერ + უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც Ex Officio წევრი მისი უფლებამოსილების ვადით), შემოთავაზებულია 11 მოსამართლის არჩევა მოსამართლეთა თვითმართველობის ორგანოს მიერ, რომლებსაც ისევ ემატება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც Ex Officio წევრი მისი უფლებამოსილების ვადით; საერთო ჯამში, საბჭოში იქნება 12 მოსამართლე წევრი, 2 - საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრი (დღეს არსებული 5 წევრის ნაცვლად) და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 1 წევრი (მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები);

მოსამართლეთა ამგვარი, ე.წ. კვალიფიციური უმრავლესობის არსებობა მართლმსაჯულების საბჭოში თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან (მაგ: ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2007 წლის 23 ნოემბრის #10 დასკვნის მე-16 პუნქტში მითითებულია, რომ „მართლმსაჯულების საბჭო შესაძლებელია სრულად შედგებოდეს მოსამართლეებისაგან ან იყოს შერეული შემადგენლობის და შედგებოდეს მოსამართლეებისა და არამოსამართლეებისაგან. ორივე შემთხვევაში თავიდან უნდა იქნას არიდებული პირადი ინტერესების გატარება, პირადი პროტექცია და ქრონიზმი.“); პირიქით, აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობს სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას და სისტემისათვის ყველა აუცილებელი

გადაწყვეტილების დაუბრკოლებლად მიღებას მხოლოდ მოსამართლე წევრების მხარდაჭერითაც კი;

ბ) ცვლილებებით უქმდება მოქმედი რედაქციით საბჭოს დაკომპლექტებისას დაწესებული 2 შეზღუდვა: 1) საბჭოს მოსამართლე წევრთაგან თითო წევრი მაინც წარმოადგენდეს თითოეული ინსტანციის სასამართლოს (მე-2 პუნქტი); 2) ზუსტდება, რომ „საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან 6-ზე მეტი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.“ (მე-4 პუნქტი). ამჟამად მოქმედი შეზღუდვის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრის პირობებში, ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლეთა რაოდენობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არ უნდა აღემატებოდეს 4-ს; ვინაიდან ამგვარი წესით არჩეულ მოსამართლეთა რაოდენობა იზრდება 8-დან 11-მდე, ლოგიკურია, რომ გაიზარდოს საბჭოში ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლეთა რაოდენობაც.

მოსამართლეთა თვითმმართველ ორგანოს უნდა შეეძლოს - შეუზღუდავად აირჩიოს მისთვის სასურველი მოსამართლე საბჭოში, მიუხედავად იმისა, ეს მოსამართლე იკავებს თუ არა ადმინისტრაციულ თანამდებობას სასამართლოში, ან თუ რომელი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თავის დროზე, ნამსჯელი აქვს ვენეციის კომისიასაც, რომლის 2013 წლის 11 მარტის #701/2012 (CDL-AD(2013)007) დასკვნის 44-ე, 47-ე-48-ე პუნქტებში მითითებულია:

„44. ადვილად გასაგებია იმის უზრუნველყოფის სურვილი, რომ უმაღლესი საბჭო არ წარმოადგენდეს მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობას. თუმცა თუ საბჭო წარმოადგენს მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას, მაშინ პრინციპში არასწორი იქნება ჩამოერთვას სასამართლო სისტემის რომელიმე წევრს შესაძლებლობა, იყოს არჩეული...

47. ვენეციის კომისია თვლის, რომ ამ არგუმენტების გათვალისწინება უნდა მოხდეს თავად ამრჩევ პირთა მიერ, როდესაც ისინი წყვეტენ, უნდა იქნეს თუ არა მათი კოლეგა ადჰურვილი იმ უფლებამოსილებით, რომელსაც საბჭოს წევრობის მანდატი ითვალისწინებს. უფრო მეტიც, ზემოხსენებულმა არგუმენტებმა გარკვეულწილად დაკარგა მნიშვნელოვანი წონა ახლა, როდესაც საბჭოს წევრთა არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდება.

48. იუსტიციის საბჭოების შექმნის ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად მცირე რაოდენობის შეზღუდვები დაწესდეს მოსამართლეთა უფლებაზე, აირჩიონ თავიანთ კოლეგებს შორის მათთვის სასურველი პირები, რომლებიც მათ წარმოადგენენ საბჭოში.“.

გ) ასევე უქმდება საბჭოს წევრთა განახლებასთან მიმართებით დაწესებული შეზღუდვა, რომელიმე 6-თვიან პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4-ზე მეტი წევრთა არჩევის დაუშვებლობის შესახებ (მე-12 პუნქტი). სრულიად გაუგებარია ეს შეზღუდვა იმ ვითარებაში, როდესაც, რაღაც ობიექტური ვითარების გამო, საბჭოს 4-ზე მეტ წევრს ერთდროულად უწყდება უფლებამოსილება, რატომ უნდა ელოდოს სასამართლო სისტემა ახალი 6-თვიანი ვადის დაწყებას იმისათვის, რათა კონსტიტუციური ორგანო სრულად დაკომპლექტდეს და სრულად იყოს ქმედითი სასამართლო სისტემისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების თვალსაზრისით.

ვინაიდან მცირდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევ არამოსამართლე წევრთა რაოდენობა 5-დან 2-მდე, სათანადო მოწესრიგებს საჭიროებს ამჟამად მოქმედი 5 არამოსამართლე წევრის უფლებამოსილების და მათი შემცვლელების თანამდებობაზე განწესების საკითხები; ამიტომ, პროექტი ითვალისწინებს გარდამავალ დებულებებს (იხ: მე-2 მუხლის პირველი-მე-2 პუნქტები), რომელთა თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დროისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე; ხოლო შემდეგ მათი შემცვლელი მოსამართლე წევრების არჩევა მოხდება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შეცვლილი, მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით, მანამ, სანამ საბჭოს მოქმედ არამოსამართლე წევრთა რაოდენობა არ გაუტოლდება 2-ს, რის შემდეგაც საბჭოს დარჩენილი მოქმედი 2 არამოსამართლე წევრის შემცვლელი წევრების არჩევას განახორციელებს საქართველოს პარლამენტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

19. 48-ე მუხლის მე-2 პუნქტში შესატანი ცვლილებით, აღარ იქნება გათვალისწინებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად არსებული გარემოების ცნობად მიღების პროცედურული ქმედება.

20. 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შემოთავაზებული ცვლილებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება - განსაზღვროს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები უზენაეს სასამართლოში; ხოლო **მე-4 პუნქტში** შემოთავაზებული ცვლილებით, ორგანულ კანონში აღარ იქნება გათვალისწინებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული, რიგი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სპეციალური წესი და ამ ინფორმაციის გაცემა მოხდება ზოგადი წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ასევე, აღარ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული ვადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მომავალი სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებისათვის (ამჟამად მოქმედი რედაქციით, დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს სხდომამდე არანაკლებ 3 დღით ადრე), არამედ განისაზღვრება, რომ სხდომის თარიღის და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს „სხდომის გამართვამდე“. ასევე მცირდება სხდომაზე განსახილველი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყნების ვადაც, სხდომამდე არანაკლებ 7 დღიდან 3 დღემდე.

21. კანონს 49-ე მუხლის შემდეგ ემატება 49¹ მუხლი, რომლითაც განისაზღვრება მოსამართლის მიერ სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებაზე, აგრეთვე მოსამართლის მიერ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული სარგებლის მიღებაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან თანხმობის გაცემის დეტალური წესი, რომლის მიზანია - დაზღვეულ იქნეს რისკები, ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ მისთვის ძირითადი საქმიანობის - სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების შეფერხების თვალსაზრისით, მეორე მხრივ - სამოსამართლო საქმიანობის მიღმა განხორციელებული სხვა საქმიანობით მიღებული სარგებელი წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს მართლმსაჯულების ინტერესებთან. სწორედ ამიტომ, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება - დაგეგმოს და განახორციელოს ზემოთ აღნიშნული საქმიანობა, ან - მიიღოს აღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიცემა საამისო თანხმობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მხრიდან. ამასთანავე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 1 აპრილის №396-III-XI მპ კანონის მე-2 მუხლის გარდამავალი დებულებების იდენტურ გარდამავალ ნორმებს (იხ: მე-2 მუხლის მე-6-მე-8 პუნქტები), რომელთა თანახმად, მოსამართლე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ახორციელებს ანაზღაურებად სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით საქმიანობას, უფლებამოსილია აღნიშნული საქმიანობა სათანადო თანხმობის გარეშე განახორციელოს 2025 წლის 1 სექტემბრამდე; მოსამართლე, რომელსაც უკავია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობა, უფლებამოსილია შესაბამისი საქმიანობა სათანადო თანხმობის გარეშე განახორციელოს იმ ვადით, რომლითაც მას უკავია აღნიშნული აკადემიური თანამდებობა; მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო თანხმობის გარეშე მიიღოს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული და ნებადართული სარგებელი 2025 წლის 1 სექტემბრამდე.

22. 51-ე მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება იმგვარი რედაქციით, რომ შესაძლებელი გახდება - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად მოსამართლეთა თვითთმართველობის ორგანომ აირჩიოს ისეთი მოსამართლეც, რომელსაც უკავია ადმინისტრაციული (სასამართლოს / კოლეგიის / პალატის თავმჯდომარის / მოადგილის) თანამდებობა.

23. 56¹ მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების, აგრეთვე - **56² მუხლის** კანონიდან ამოღების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი დგება საბჭოს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (დეპარტამენტებთან) თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში: მისი უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარეც თანამდებობაზე დანიშნება საბჭოს სხვა დეპარტამენტების თავმჯდომარეების თანამდებობაზე დანიშვნის ანალოგიური წესით.

24. 59-ე მუხლში შემოთავაზებული ცვლილებებით, ერთი მხრივ, იცვლება საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული ყველა მანდატურის სამსახურის დაქვემდებარების წესი (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისადმი საერთო დაქვემდებარების ნაცვლად, აღნიშნული დაქვემდებარება მოხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისადმი); მეორე მხრივ, იზრდება სასამართლოს მანდატურის სოციალური დაცვის გარანტია, იმგვარად, რომ მისი სპეციფიკური ფუნქციიდან გამომდინარე, მასზე არ გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რანგირება და მის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

25. 64-ე მუხლის მე-3 პუნქტში შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, უქმდება მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად სასამართლოს / კოლეგიის / პალატის თავმჯდომარის / მოადგილის არჩევის დაუსაბუთებელი აკრძალვა.

26. 66-ე მუხლის 1-ლ პუნქტში შემოთავაზებული ცვლილებით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევა აღარ ხდება სავალდებულო წელიწადში ერთხელ მაინც. მისი მოწვევა დაუკავშირდება შექმნილ ობიექტურ აუცილებლობას; კონფერენციის სხდომის დღის წესრიგი კი გამოქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე, სხდომამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა (ამჟამად მოქმედი 7-დღიანი ვადის ნაცვლად).

27. 66³ მუხლში შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად:

ა) იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრის არჩევას, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია აღარ იქნება შეზღუდული - აირჩიოს მისთვის სასურველი კანდიდატები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოდან (ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, თითო წევრი უნდა იყოს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციიდან); ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღარ იქნება შეზღუდული - მის მიერ ასარჩევი 2 კანდიდატი აუცილებლად იყოს კანონით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის მქონე ისეთი პირები, რომლებიც არ მუშაობენ საჯარო დაწესებულებაში (მე-4 პუნქტი);

ბ) უქმდება აკრძალვა - სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე ზედიზედ 2-ჯერ არჩევის შემდეგ ისევ იქნეს არჩეული იმავე თანამდებობაზე (მე-5 პუნქტი);

გ) დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს შესაძლებელია ჰყავდეს მოადგილეები (ამჟამინდელი მე-6 პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ 1 მოადგილეს); შესაბამისად იცვლება მე-7 პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტიც;

დ) განისაზღვრება, რომ დამოუკიდებელი საბჭო ამტკიცებს სკოლის დამამთავრებელი გამოცდის კომისიის შემადგენლობას (მე-7 პუნქტის „ე.ზ“ ქვეპუნქტი);

ე) დამოუკიდებელი საბჭოს წევრის საქმიანობა ხდება ანაზღაურებადი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით (მე-8 პუნქტი).

28. 66⁴ მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილების შედეგად, ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, დამოუკიდებელი საბჭოს წევრს და თავმჯდომარეს თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე (ამჟამად მოქმედი ნორმის თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს ათავისუფლებს მოსამართლეთა კონფერენცია).

29. 66⁵ მუხლში შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად:

ა) დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ წელიწადში ერთხელ (დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, სხდომა მოიწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ) – **პირველი პუნქტი**;

ბ) დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნდება სხდომის გამართვამდე (ამჟამად მოქმედი ნორმის თანახმად, გამოქვეყნება ხდება არანაკლებ 1 კვირით ადრე სხდომამდე) - **მე-2 პუნქტი**;

გ) მე-5-მე-6 პუნქტების ცვლილების შედეგად, აღარ მოითხოვება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნება.

30. 66^ა მუხლში შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად:

ა) სკოლის დირექტორს ჰყავს დამატებით კიდევ ერთი მოადგილე (**პირველი პუნქტი**);

ბ) უქმდება აკრძალვები: ერთი და იგივე პირი ზედიზედ მესამედ და მეტჯერ ვეღარ იქნეს არჩეული სკოლის დირექტორად (**მე-4 პუნქტის** ამოღების გზით, სადაც მითითებულია აღნიშნული აკრძალვა) და, ასევე, ერთი და იგივე პირი ზედიზედ მესამედ და მეტჯერ ვეღარ იქნეს არჩეული სკოლის დირექტორის მოადგილედ ან სტაჟირების ხელმძღვანელად (**მე-5 პუნქტის** განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბების გზით).

31. 66^ბ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების ამოღების შედეგად, უქმდება სკოლის მსმენელთა კონკურსის სულ მცირე წელიწადში ერთხელ ჩატარების ვალდებულება, აგრეთვე - პროცედურა, რომლითაც განსაზღვრულია წელიწადში ერთზე მეტი კონკურსის ჩატარების გადაწყვეტილების მიღების წესი.

32. 66^გ მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ მსმენელთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად), რომელიც ამ რაოდენობას ადგენს სკოლის დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

33. 66^დ მუხლის ცვლილების შედეგად, უქმდება სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩამტარებელი კომისიის ე.წ. ჰიბრიდული წესით (უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთობლივი მონაწილეობის) დამტკიცების პროცედურა (მე-4 და მე-5 პუნქტების ამოღების გზით) და განისაზღვრება, რომ სკოლის დამამთავრებელ გამოცდას ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობას სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო (მე-3 პუნქტი).

34. 66³⁸ მუხლის ცვლილების შედეგად კანონის დონეზე უქმდება მოსამართლის ვალდებულება - კვალიფიკაციის ამაღლებას დაუთმოს ყოველ 3 წელიწადში 5 დღე მაინც; თუმცა, უდავოა, რომ კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების ეთიკური ვალდებულება მოსამართლეს ისედაც დაკისრებული აქვს, სამოსამართლო ეთიკის წესების ნორმებიდან (ე.წ. კომპეტენტურობისა და გულისხმიერების პრინციპი) გამომდინარე.

35. 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილების შედეგად, მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები განისაზღვრება სხვა სახელმწიფო (საჯარო) მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის წესის ანალოგიურად, კერძოდ: საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ინსტანციების მიხედვით მოსამართლეთათვის მიკუთვნებულ კოეფიციენტებზე (მაგ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის განსაზღვრული კოეფიციენტია 10.00, პარლამენტის თავმჯდომარისათვის განსაზღვრული კოეფიციენტის მსგავსად და ა.შ.), კერძოდ:

- ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის – 10.00;
- ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისათვის – 9.20;
- გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისათვის – 9.00;
- დ) უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის, რომელსაც არ უკავია ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული თანამდებობა უზენაეს სასამართლოში – 8.50;
- ე) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის – 8.40;
- ვ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისათვის – 8.30;
- ზ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარისათვის – 8.20;

თ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისათვის, რომელსაც არ უკავია ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული თანამდებობა სააპელაციო სასამართლოში – 8.10;

ი) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისათვის - 8.20; სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარისათვის – 7.80;

კ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარისათვის - 7.80; სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარისათვის – 7.50;

ლ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისათვის/მაგისტრტი მოსამართლისათვის, რომელსაც არ უკავია ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული თანამდებობა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში – 7.20.“.

36. 72¹ მუხლის ცვლილების შედეგად:

ა) იკრძალება მოსამართლესთან ნებისმიერი პირის ისეთი კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს, ან - წარმოადგენს მოსამართლეზე ან ზოგადად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობას (**პირველი პუნქტი**);

ბ) კანონს შემოაქვს მოსამართლესთან ე.წ. სპეციალური კომუნიკაციის ინსტიტუტი; ამგვარი კომუნიკაციად მიიჩნევა მოსამართლესთან კომუნიკაცია, მისი სამსახურებრივი მივლინების ან/და მისი სასწავლო/პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩართვის (მონაწილედ/ექსპერტად) მიზნით ან სხვა ნებისმიერ ისეთ საკითხთან მიმართებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება მართლმსაჯულების/სასამართლო ხელისუფლების განხორციელების პროცესს; იქვე განისაზღვრება, რომ სპეციალური კომუნიკაცია დასაშვებია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ამ კანონის 72¹² მუხლით დადგენილი წესით (**მე-3 პუნქტი**).

37. 72² მუხლში, 72⁷ მუხლის 1-ლ პუნქტში, 72¹⁰ მუხლის 1-ლ პუნქტში ცვლილებების შედეგად, მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციის სუბიექტად იქცევა კანონში

პირდაპირ ჩამოთვლილ პირებთან (პროცესის მონაწილე, დაინტერესებული პირი, საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი) ერთად **სხვა ნებისმიერი პირიც**, რომელთან კომუნიკაციის შესახებ მოსამართლეს/სასამართლოს თავმჯდომარეს ევალუბათ შესაბამისი რეაგირების განხორციელება, რის შემდეგაც აღნიშნულ პირს საერთო წესით დაეკისრება პასუხისმგებლობა მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციისათვის.

38. კანონს ემატება 72¹² მუხლი, რომლითაც განისაზღვრება მოსამართლესთან ე.წ. სპეციალური კომუნიკაციის განხორციელების წესი, რომლის შესაბამისადაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელით საბჭოს მდივნის მიერ საკითხის განხილვის შედეგად გადაწყდება - ჩაებმება თუ არა მოსამართლე გარკვეული ღონისძიების (ნებისმიერი ხასიათის ვიზიტი/საქმიანი შეხვედრა, ვორქშოფი, კონფერენცია, ტრენინგი, ლექცია, სემინარი და ა.შ.) განხორციელებაში სხვადასხვა სტატუსით (ტრენერის, მსმენელის/მონაწილის და ა.შ.); ასევე განისაზღვრება ამ წესის დაუცველად ღონისძიების ორგანიზატორის მხრიდან მოსამართლესთან სპეციალური კომუნიკაციის განხორციელების სამართლებრივი შედეგები.

39. 75¹ მუხლის მე-8 პუნქტს დაემატება შემდეგი შინაარსის „ვ.ე“ ქვეპუნქტი:

„ვ.ე) მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.“. ეს ცვლილება აუცილებელია სასამართლოს (მოსამართლეების) საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების გაძლიერების თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც მე-8 პუნქტში კონკრეტულად ჩამოთვლილი დისციპლინური გადაცდომები ვერ ფარავს მოსამართლის მიერ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების უგულვებელყოფის ყველა შესაძლო ქმედებას.

40. 75³ მუხლის ცვლილების შედეგად:

ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„დ) ხელფასის 10%-დან 50%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში;“; (ამჟამად მოქმედი ნორმით, დისციპლინური სახდელის სახედ გათვალისწინებულია ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში);

გ) 1² პუნქტი, ზემოთ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1². სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება, ხელფასის 10%-დან 50%-მდე დაქვითვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებით დისციპლინურ სახდელად.“.

41. 75⁴ მუხლის პირველი პუნქტის ცვლილების შედეგად, მოსამართლის მიმართ წარმართულ დისციპლინურ სამართალწარმოებას ენიჭება მკაცრად კონფიდენციალური ხასიათი, იმგვარად, რომ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, სურვილის შემთხვევაშიც კი, ვეღარ შეეძლება მისი გასაჯაროება.

42. 75⁵ მუხლის პირველ პუნქტს ემატება „ა¹“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სხვა მიზეზებთან ერთად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზეზი შეიძლება იყოს „სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვა მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესახებ“. ეს ლოგიკურია, რადგან უპირველესად სწორედ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარისათვის შეიძლება იყოს ცნობილი მისდამი დაქვემდებარებულ სასამართლოში მოღვაწე მოსამართლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ.

43. 75¹⁹ მუხლის ცვლილების შედეგად:

ა) სადისციპლინო კოლეგიის წევრი აირჩევა 4 წლის ვადით (ამჟამად მოქმედი 2-წლიანი დათქმის ნაცვლად) – **პირველი პუნქტი**;

ბ) სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატისათვის ამჟამად მოქმედი პროფესიული ცენზი (სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება) მცირდება (5 წლამდე) - მე-2 პუნქტი;

გ) უქმდება სადისციპლინო კოლეგიის წევრად ისეთი მოსამართლის არჩევის აკრძალვა, რომელსაც სასამართლო სისტემაში უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე), ან რომელსაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა რომელიმე ასეთი თანამდებობა - მე-4 პუნქტი;

დ) სადისციპლინო კოლეგიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკიტხის განხილვისას, უქმდება პარლამენტის და მოსამართლეთა კონფერენციის ვალდებულება - შეამოწმონ უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველ, რა მიზნითაც ისინი უფლებამოსილნი არიან - სხდომაზე მოიწვიონ აღნიშნული პირი და მოისმინონ მისი მოსაზრება - მე-8 პუნქტი.

44. 75²⁵ მუხლის ცვლილების შედეგად, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვის ვადა იზრდება 1 თვიდან (ამჟამად მოქმედი ვადა) 2 თვემდე.

45. 75⁴⁷ მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილების შედეგად, იზრდება კერძო სარეკომენდაციო ბარათის მოქმედების ვადა და განისაზღვრება, რომ ამ ბარათით მიმართვიდან 1 წლის ვადაში (მოქმედი რედაქციით ეს ვადა 6 თვეს შეადგენს) მოსამართლის მხრიდან იმავე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგია იმსჯელებს ამ მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

46. 75⁵⁸ მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებით, სადისციპლინო პალატა დისციპლინურ საქმეს განიხილავს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში (ამჟამად მოქმედი რედაქციით ეს ვადა შეადგენს 15 დღეს, რომლის გაგრძელებაც, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება ერთჯერადად 15 დღით გააგრძელოს).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება კანონპროექტზე, რადგან იგი არაა ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან ეს უკანასკნელი მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე აღნიშნული კანონპროექტის მიღება. საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, 2025 წლის საგაზაფხულო სესია მთავრდება 27 ივნისს, შესაბამისად, ინიციატორების მიერ მოთხოვნილია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის განსაზღვრული ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტს ექნება გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება პირთა წრე, რომლებიც შესაძლოა დაჯარიმდნენ სასამართლოს უპატივცემულობისათვის, ეს გავლენას იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კონკრეტული შემთხვევების რაოდენობის შესაბამისად.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება შესაძლოა დაკავშირებული იყოს გარკვეულ ხარჯებთან, კერძოდ: მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები განისაზღვრება სხვა სახელმწიფო (საჯარო) მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის წესის ანალოგიურად, კერძოდ: საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით მოსამართლეთათვის მიკუთვნებულ კოეფიციენტებზე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღება, შესაბამისი თანამდებობის პირების რაოდენობის პროპორციულად, გავლენას მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც უკავშირდება მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის დამოუკიდებელ საბჭოში საქმიანობა ხდება ანაზღაურებადი, აღნიშნული გამოიწვევს შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება დისციპლინური სახდელისთვის გათვალისწინებული ზომა, კერძოდ, ხელფასის 10%-დან 50%-მდე დაქვითვა, პირისთვის დისციპლინური სახდელის გამოყენებას გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც დამოკიდებული იქნება შემთხვევების რაოდენობაზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება ფინანსური თვალსაზრისით დადებით გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება, კერძოდ: მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები განისაზღვრება სხვა სახელმწიფო (საჯარო) მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის წესის ანალოგიურად, კერძოდ: საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით მოსამართლეთათვის მიკუთვნებულ კოეფიციენტებზე.

იზრდება პირთა წრე, რომლებთან მიმართებითაც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჯარიმა სასამართლოს უპატივცემულობისათვის, რაც შესაბამის გავლენას მოახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.

შემოთავაზებული ცვლილებებით იზრდება კონკრეტული თანამდებობის დაკავებისთვის დადგენილი ვადა, რაც გავლენას იქონიებს (უფრო მეტი ვადით მიიღებენ ანაზღაურებას) იმ პირებზე, რომლებიც იკავებენ/დაიკავებენ შესაბამის თანამდებობას. ამასთანავე, ცალკეული თანამდებობების დაკავების მოთხოვნები იცვლება, რაც შესაბამის პირებს მისცემს შესაძლებლობას დაიკავონ კონკრეტული თანამდებობები.

ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის დამოუკიდებელ საბჭოში საქმიანობა ხდება ანაზღაურებადი, აღნიშნული

გამოიწვევს შესაბამის ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც იკავებენ დასახელებულ თანამდებობებს.

გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება დისციპლინური სახდელისთვის გათვალისწინებული ზომა, კერძოდ, ხელფასის 10%-დან 50%-მდე დაქვითვა, შესაბამისად, პირისთვის დისციპლინური სახდელის გამოყენების შემთხვევაში ექნება ფინანსური გავლენა, რაც დამოკიდებული იქნება შემთხვევების რაოდენობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღებით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადებისას ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი

იონათამიშვილი, ალუდა ლუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ლუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.